F-1/2 № 12906

№ 130
სამშაბათი, 1 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

№ 130
სამშაბათი, 1 ივლისი 189[illegible]

ფასი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## დაბარება

სახლში წალის დროს დავთრიდგან სირაჯხანის ღმართზედ, მე-7 ნაწილში: „ნეუსტაიკის“ ხელშეკრულობა 700 მანეთისა, თხოვნა, კვიტანციები და სხ ავეტიქ სულხანოვისა.

მპოვნელი ჩუქარს მიიღებს. მიიტანოს: რიყე, ჩითახოვის სახლში, № 15 და 1.

(2—135—1)


## მთავრობის ანკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

1156

(დასასრული *)

საზოგადოების საქმეებში კამათის გარჩევა, პასუხ-გება და საზოგადოების მოქმედებათა გაუქმება.

§ 58. საზოგადო საქმეთა შესახებ საზოგადოების წევრთა და გამგეობის წევრთა ორის კამათი და დავა, აგრეთვე გამგეობის წევრთა და საზოგადოების მიერ სხვა ამორჩეულ და გარეშე კაცთა შორის ატეხილი დავა და კამათი ან უნდა საზოგადო კრებამ გადასწყვიტოს, თუ კი ორივე მოკამათე მხარე ამისი თანახმა იქნება, ან არადა საზოგადო სასამართლოს წესით იქმნენ განხილულნი.

§ 59. საზოგადოების პასუხის-გება მხოლოდ მის საკუთარ უძრავ და მოძრავ ქონებითა და თანხით განისაზღვრება.

§ 60. თუ რომელისამე გარემოებისა გამო, ანგარიშის შემდეგ ზარალი აღმოჩნდება, ზარალი სათადარიგო თანხიდგან უნდა იქნას შევსებული; იმ შემთხვევაში, როდესაც სათადარიგო თანხა არ ეყოფა, დანარჩენი ზარალი საწევრო წილიდგანა და სააქციო-მიცემო თანხიდგან უნდა იქმნას შევსებული. როდესაც ამ რიგად ყველა წევრთა საწილო თანხა შეეტყობა და რომელსამე წევრს აღარც ერთი მთელი წილი არ ექნება, მაშინ წევრმა კვლავ უნდა შეავსოს თავისი წილი იმ ზომამდე, რომელსაც წევრთა საზოგადო კრება დაუდებს.

§ 61. საზოგადოების არსებობას ვადა არა აქვს დანიშნული. თუ საქმეთა მიმდინარეობა საჭიროდ გახდის, რომ საზოგადოება გაუქმდეს, ამ გაუქმებას წევრთა საზოგადო კრების ორს საგანგებო სხდომაზედ გარდასწყვეტენ, თუ რომ მეორე სხდომის წინად მომხდარ სხდომაზედ საზოგადოების გაუქმების შესახებ წარმოდგენილი საბუთები არაფრით იქმნებიან დარღვეულნი.

შენიშვნა. თუ რომ დამფუძნებელ წევრთაგან ნება-რთვის მიღების შემდეგ ერთის წლის განმავლობაში საზოგადოება კვლავ მოქმედებას არ დაიწყებს, მაშინ ამ ნება-რთვას ძალა აღარ აქვს და ახლად უნდა გამოითხოვონ იგი.

§ 62. საზოგადოების მოქმედებათა გაუქმების დროს წევრთა საზოგადო კრება სალიკვიდაციო კამისიისათვის თავისს წევრთა შორის სამს კაცს ირჩევს და აგრეთვე აღნიშნავს წესსა და რიგს, თუ საზოგადოების მოქმედება როგორ უნდა იქმნას გაუქმებული. საზოგადოების გამაუქმებელნი თავისს მოვალეებს უწყებებითა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილის განცხადებებით იწვევენ, ყოველს დონეს ხმარობენ, რომ სრულიად დაკმაყოფილონ იგინი, საზოგადოების ქონებას ფულად აქცევენ და ურთიერთ შორის თანხმობითა და შინაურულის მორიგებით ათავებენ საქმეს თანახმად იმ წესისა, რომელიც საზოგადო კრებამ უჩვენა. თანხა, რომელიც მოვალეობის დასაკმაყოფილებლადა და სხვა სადავო საგნებისათვის არის დანიშნული, გამაუქმებლებმა ერთ-ერთს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში უნდა შეიტანონ; ვიდრე ყველა მოვალე გასტუმრებული არ იქნება, იმ დრომდე საზოგადოების წევრნი ვერაფერს დაკმაყოფილებას ვერ მიიღებენ. თავისის მოქმედების შესახებ გამაუქმებელნი მოვალენი არიან საზოგადო კრებას ანგარიში წარუდგინონ ხოლმე იმ ვადაზედ, რომელიც თითონ საზოგადო კრებამვე დაუნიშნა, ხოლო საზოგადოების საქმეთა და მოქმედებათა მთლად გაუქმების შემდეგ საზოგადო ანგარიში უნდა წარუდგინონ საზოგადო კრებას.

§ 63. როდესაც წევრთა საზოგადო კრება გამაუქმებელთა საზოგადო ანგარიშს (§ 62) დაამტკიცებს, წევრებს თავიანთი წილის ფული, ხვედრი დივიდენდი და საზუქრები უკანვე უბრუნდებათ, ან ამ ფულიდგან შესაძლებელი ზარალი (§ 60) გამორიცხულ იქნება, ხოლო დანარჩენი ქონება, თუ-კი იგი აღმოჩნდება, საზოგადო რამ სასარგებლო საქმეს ჰხმარდება, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, რომელსაც ადგილობრივის გუბერნატორისა (ანუ ქალაქის უფროსის) დამტკიცების შემდეგ სრული ძალა ეძლევა, ხოლო თუ გუბერნატორი (ანუ ქალაქის უფროსი) თანხმობას არ განაცხადებს, საქმე უკანასკნელად გარდასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა წარუდგინოს.

§ 64. საზოგადოების გაუქმების წინადაც და გაუქმების შემდეგაც, პირველს შემთხვევაში გამგეობა, ხოლო მეორეში გამაუქმებელნი ჯეროვანის განმარტებით შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებენ ყოველივეს გუბერნატორისა (ანუ ქალაქის უფროსის) პირით, აგრეთვე აცხადებენ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რომ ყველა წევრმა შეიტყოს.

§ 65. თუ რომ გუბერნატორმა, ან ქალაქის უფროსმა, იმ უფლების გარეშე (მუხ. 321 და 863, ტ. II კანონთა კრებ., გამოც. 1892 წ. საზოგ. საგუბ. დაწესებ.), რომლითაც მათ ნება აქვთ საზოგადო კრება დახურონ, როდესაც სახელმწიფო წესისა და რიგისა, საზოგადოების მშვიდობიანობისა და ზნეობის წინააღმდეგი რამ იქნება აღმოჩენილი,—რაიმე მიზეზისა გამო საჭიროდ სცნო, რომ საზოგადოება გაუქმოს, მაშინ საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს გარდასაწყვეტად.

შენიშვნა. როდესაც საზოგადოება გუბერნატორისა (ან ქალაქის უფროსის) განკარგულებით უქმდება, მაშინ ამათზე დამოკიდებული დაუნიშნონ დრო, როდის და რა წესითა და რიგით უნდა მოხდეს საზოგადო კრება საზოგადოების საქმეთა გაუქმების შესახებ, ამათზევე დამოკიდებული საქმის დასაბოლოვებელ კამისიის წევრთა ამორჩევა საზოგადოების წევრთაგან.

*) იხ. „ივერია“, № 129.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის პოლიცმეისტერი დ. ს. ს. ლ. პ. მასტიცკი შაბათს, 28 ივნისს, ვოლინის გუბერნიაში წავიდა საზაფხულოდ.

*** ფინანსთა მინისტრმა [illegible] ოქროს მაზანდა, რომლითაც [illegible] ლისა და ოქროს ფული 1897 წ[illegible] 1 ივლისიდგან ამავე წლის პირველ ოქტომბრამდის იქნება მიღებული სადამოჟნო გარდასახადად შემდეგის ფასით: ყოველი მანეთი ვერცხლის ფული და ქაღალდისა მიღებულ და მიცემულ იქნება $66^2/_8$ კაპ. ოქროს ფასად.

*** როგორც კავკასიის რკინის გზის სად. ევლახიდგან გვატყობინებენ, 30-ს თიბათვეს 22 № ვაგონიდგან ბუხარელი მლოცავი მატარებელი მაღალი გადმოვარდნილა და სახე და ფეხები დაჰშავებია.

*** შაბათს, 28 ივნისს, ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს კრება ჰქონდა, რომელზედაც განხილულ იქმნა 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისისა, დუშეთისა და კოჯორისა. კრებამ დაამტკიცა ამ სამისავე ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** 30 ივნისს ისე გააფუჭა ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი საშინელმა წვიმებმა 126 ვერსტზე ტფილისიდგან, რომ მატარებელს №

# ფელეტონი

## „ხევი“ და ორი სოფლის დავა ერთ სოფელთან.

ანანურიდგან მოყოლებული ვიდრე დარიელის რკინის ხიდამდე ასის ვერსტის მანძილია და ამ გზის იქით-აქეთ მხარეს სცხოვრობენ ეგრედ წოდებულნი: მთიულნი, გუდამაყარელნი, თრუსო (ესენი ოსებია) და მოხევენი. ამათი ალაგი, როგორც სტატისკურის ცნობებიდგან სჩანს, 1550 დესეტინა უნდა იყოს და დასახელებულნი მკვიდრნიც 18 ათასამდე სული ირიცხება. ეს მკვიდრნი შეადგენენ ქვეშეთის საბოქაულოს და დუშეთის მაზრის ერთს ნაწილს. ამათი სახნავ-სათესი და საძოვარი სხვა საქართველოს მკვიდრთან შედარებით ძალიან მცირეა ხალხის რაოდენობის მიხედვით და ამასთან მწირი და უნაყოფო, ე. ი., აქ ჩვენის ალაგით სარგებლობა ხუთს თვეს არის და დანარჩენს შვიდს თვეს-კი თოვლით არის დაფარული. ამიტომაც აქაური მოსავალი მარტო ქერი და თივაა და ისიც ისე მცირე, რომ კარგის მამულის პატრონად მარტო ის იქებს თავს, ვისაც თავისი [illegible]ის პირნახული 4—6 თვემდე ეყოფა და უღელს ხარს და ორს ძროხას როგორმე ჩალა-თივით გამოჰკვებავს. ამიტომაც მთიულ-მოხევე ასე ახასიათებს თავისის არსებობის სურათს:

„საწყალის კაცის ცხოვრებას
არ უნდა ბევრი ხრიალი,
ოროლი ფური ეყოფის
ოროლი ხარი რქიანი.“-ო

მთიულს მოხევეს არც ვენახი აქვს, არც ბაღი, არც რამ ისეთი სოფლის ნაწარმოები მოეპოვება, რომ ამით თავისს შინაურს საჭიროებას მოაჭარბოს და ბაზარში გასასყიდად წაიღოს, როგორც, მაგალითად: ერთი დღიური მიწა თელავის მაზრაში საბაღოსნო ალაგი იძლევა 150—200 მანეთს, სიღნაღის მაზრაში—120—180 მანეთს, ტფილისის და გორის მაზრაში ნაანგარიშევი არის ყოველს სულზედ წლიური მოსავალი 50—60 ფუთამდე. ბარის ხალხი მთის ხალხთან შედარებით ძალიან მეტს უნდა სარგებლობდეს მიწის მოსავალით, რადგანაც აბრეშუმით, ვისაც-კი ამის უნარი შესწევს, ფუთზედ 160 მანეთამდე ფასს იღებენ, არა ნაკლები სარგებლობა მოაქვს ფუტკრის მოშენებას, რადგანაც ფუთი თაფლი იყიდება 8—10 მანეთად და სანთელი ხომ უფრო ძვირადაც. აგრეთვე კარგად აჯილდოებს ბუნება და ნიადაგი თამბაქოს მომყვანთაც. აქვე სახეში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ბარში თუ გლეხს ანუ აზნაურს უნარი შესწევს ხელოსნობისა, თუ ტყის მასალა მრავალი აქვს, შეშის გაყიდვის გარდა, ხელოსნობითაც კარგად დაჯილდოვდება; არც ტყეში ნადირობა და წყალში თევზაობა არის ნაკლებს ნიადაგზედ დამდგარი, თუ კი აქაც კაცმა შნო გამოიჩინა და ისარგებლა ყველა იმითი, რაც ბუნებას და ღმერთს ადამიანის სასარგებლოდ გაუჩენია.

მე ამით ის-კი არა მსურს ვთქვა, რომ ბარად შნო და უნარი არა აქვს მეცადინეობისა და მთიულები-კი დიდს მხნეობას გამოიჩენდნენ-მეთქი იმისთანა ნაყოფიერს მიწაზედ, როგორიც ბარის (ქართლ-კახეთის) მიწა არის, არამედ ისა, როგორის პატივით ეპ-კატუნები“, რომლებიც არწმუნებენ მამულის მოსიყვარულე-მოდავე მთიულ-მოხევეებს: ფიქრი ნუ გაქვთ, ისეთ არზას დაგიწერთ, რომ ქვას გაარღვევს და სასამართლოებს ხომ სულ უკუღმა დაატრიალებსო. ამ მწერლებისგან მრავალი ძველ-ერბოიანი გუდა არის ცუდ-უბრალოდ საწირად მიღებული და ფულს ხომ ვინ იანგარიშებს. საკვირველი ის არის, რომ მთაში ასზედ მეტი მაგალითი არის, რომ გლეხი გლეხს ედავება და, სამწუხაროდ, ჯერ ერთი დავაც არ გათავებულა. ფულები-კი მოდავე მოპასუხეების მხრით ძალიან ბევრი იხარჯება! მე შემეძლო, რომ ყველა ეს დავა დამესახელებინა, მაგრამ რადგანაც მათ შორის ერთი უფრო საინტერესოდ მიმაჩნია, ამისათვის უმჯობესია, რომ ალაგი ისევ იმას დავუთმოთ.

სოფელი სიონი, რომელიც კობისა და ყაზიბეგის ფოსტის სადგურს შორის სამხედრო გზას შუა ჰყოფს, გაშენებულია ერთს მაღალ კუნწუხა კლდის ქენჩახზედ, რომლის ძირსაც მიდის საქართველოს სამხედრო გზა და ამასთან ერთ საუკეთესო სოფლადაც ითვლება მოხევეთა შორის, მითუმეტეს, რომ კარგის ხელოვნებით ნაგები, დიდის თამარისაგან აშენებული ღვთის-მშობლის სახელობის ეკკლესია აქვს. (ეს ეკკლესია ეხლა რკინით იქმნა დახურული მღვდ. ზაქარია კობაიძის მეცადინეობით და განახლებულია იატაკით); დასავლეთ-ჩრდილოს მხრისკენ დიდს კლდეზედ კარგი მაღალი და მაგარი ციხეა ამართული, რომელიც წარმოგვიდგენს მამა პაპათა მტრის წინაშე ქედმოუდრეკელს სიმაგრეს. სიონსავე აქვს მოხევეებთან შედარებით მოხერხებული წყალ-წისქვილი, ყანა და სათიბი და ცოტაოდენი ტყეც საირისთვის (თივის ქვეშ დასადებად) (ამ სოფელს, იმისს ციხე-ეკკლესიას მრავალი საისტორიო მასალა ჰქონდა და ბევრი საინტერესო ზეპირი გარდმოცემა არის ხალხში დარჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, გუჯრები და მრავალი განძი ამ ეკკლესიისა მეტსა ვიღაც ბოროტ-მოქმედისა[illegible] წარტაცებული იქმნა.

ამ სოფელს დავა აუტეხა აზნაურმა [illegible] კობიაშვილმა და ეს დავა სწარმოებ[illegible] და იმ სასამართლოს ხელში, რომელსაც ეწოდებოდა „Экспедиц[illegible]ს суда и расправы верховнаго Г[illegible] зинскаго Правительства“. ჩვენ მაზრის [illegible]რტო ის ვიცით, რომ აზნაური არჩაბიაშვილი მოსახლეობს დღესაც კობიშეთის მახლობლად და აქვს თავის 3 საკუთარი მამული, როგორც მე[illegible]ტონეს, იქვე დუშეთის ახლო[illegible] დღი[illegible]რა მიზეზით ატეხილა დავა სახე[illegible] წიფო თავისუფალს გლეხებსა [illegible] კობიაშვილს შორის, ეს არ ვიცით და მხოლოდ კობიაშვილის დავა შეეხებოდა სიონის სოფლის თავს მდებარე საძოვარს მიწას, რომელსაც იმ დროს, ე. ი. 1823 წელს, მო[illegible]ჩივან-მოპასუხენი ასახელებენ რი[illegible] და სიონელები-კი დღესაც სახი[illegible]

...2 40 საათი დასჭირდა გზაში დგომა ვიდრე გზას გაასუფთავებდნენ და გასწმენდავდნენ ქვიშისაგან.

*** გზათა სამინისტროს საქართველოს სამხედრო გზის შესაკეთებლად, რომელიც გაზაფხულის ნიაღვრებმა საშინლად წაახდინა, საჭირო თანხა გადაუდვია.

*** „კავკასიის ვერცხლის-წყლის ამხანაგობის“ 1896 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამხანაგობას ძირითადი თანხა ჰქონია 1,210,400 მან., 29,033 მან. და 15 კაპ. ზარალი მოსვლია და 1897 წლის პირველი იანვრისთვის კასსაში 114,622 მ. 7 კაპ. ჰქონია.

შაბათს, 28 ივნისს, იაფ-ფასადილოს შენობაში, ავჭალის ...დ, იყო პირველი საერთო ...ა ახლად შემდგარის ლოთობის საწინააღმდეგ საზოგადოებისა. სხდომას დაესწრო 75 წევრი.

პირველად კრებამ ამოარჩია თავმჯდომარეთ ექიმი ა. ი. ოდნოსუმოვი, შემდეგ წაკითხულ იქმნა საზოგადოების წესდების რამდენიმე ადგილი, აქვე 16 ახალი წევრი ჩაეწერა საზოგადოებაში ასე, რომ საზოგადოებაში ამ ჟამად სულ 130 წევრი ჰყავს. შემდეგ კრებამ კომიტეტის წევრები აირჩია. არჩეულ იქმნენ ნ. ა. ხუდადოვი, ნ. ა. სახაროვი, გავრიშევსკი, სოფრონოვი, ექიმი ოდნოსუმოვი, გ. დანოკოვი, ნ. ფ. პეტროვი, მაიერი, აბაევი, ნოვიცკი, კუზავოვი და აბროსიმოვი; ამათ კანდიდატებად გურიენოვი, ტულუპოვი, ტ. დანიუკოვი, ტიმოფეევი, კალოშინი და გებბოვსკი.

ამ ახლად ამორჩეულ კომიტეტს პირველი კრება ჰქონდა ორშაბათს, 30 თიბათვეს.

*** 28 ივნისს, ღამე, სადგურის ფოთის ახლო ექვსი უცნობი შეიარაღებული ავაზაკი დაეცა რკინის გზის მოსამსახურეთა შენობას. ავაზაკებმა გარედგან დაკეტეს კარები და დაამწყვდიეს შიგ მყოფი მუშები. შემდეგ დასჭრეს და გაძარცვეს უფროსი მუშა ფილია დუწუა. ამ დროს ბედზედ გამოჩნდა მომავალი მატარებელი № 69, რომელსაც მუშებმა ფანჯრებიდგან წითელი ფანრები დაანახვეს. მატარებელი შეჩერდა და ავაზაკებიც გაიქცნენ. დაჭრილს რკინის გზის ექიმმა აღმოუჩინა დახმარება, რომელიც ფოთიდგან მოვიდა.

*** ბათუმის პოლიცმეისტერის მ. მ. ეგოროვის მეცადინეობით ქ. ბათუმში გაიმართება სახალხო თეატრი. თეატრი მიეცემა დრამატიულ დასს იმ პირობით, რომ კვირაობით და უქმეობით სახალხო წარმოდგენები გამართოს უფასოდ, ან სულ მცირედის ფასით, დანარჩენ დღეებში-კი ჩვეულებრივი წარმოდგენებით შეუძლიან ისარგებლოს. სწორედ კარგი აზრი მოსვლია ბ-ნს ეგოროვს, რომ ბათუმის აუარებელ მუშა ხალხს გონებით საზრდოს უჩენს, ნაცვლად დუქნების და ლუდ-ხანებისა, სადაც მთელი დღე ლოთობაში ატარებენ.

*** წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ვლადიმირ ინაშვილმა ოქროს მედალი მიიღო შემდეგის თხზულებისათვის: „Фармакодинамика различныхъ средствъ, дѣйствующихъ на сократительность матки и условія кровообращенія въ ней“. ამავე უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. მოსეშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო.

*** სოფ. სანება-მთა (კავკავის მაზრა). 19 ივნისს ჩამოვგვითოვლა კავკასიონის მთები. რისგამოც შემოდგომის ზგზავსი სიცივეები დაიჭირა. მთის ოსები ძალიან დაღონებულნი არიან, ვაი თუ შემოდგომა მალე დადგეს და ქერები ველარ მოგვესწროსო.

*** სოფ. დარღავსი-მთა (კავკავის მაზრა). ამის წინად აქ ერთი საცოდაობა მოხდა: ორს ოსს, გვარად ამზორიყოევს და აბაევს, მოუვიდათ რუზედ ჩხუბი. ამზორიყოევმა იძრო ხანჯალი და ოთხგან დასჭრა აბაევი. გაცეცხლებულმა აბაევმა, დაჰკრა თავში ნიჩაბი ისე მძიმედ, რომ თავი შუაზედ გაუხეთქა და თავგახეთქილმა ამზორიყოევმა იქვე სული დალია.

აქეთკენ ქერები და სათიბები მაინც და მაინც სანაქებო არ არის, შარშან ერთი-ორად უკეთესი იყო.

*** სად. სურამი. 29 ივნისს საქონლის მატარებელს № 69-ს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის მიზეზი ის გახდა, რომ ვაგონში კირი იყო, რომელიც დასველებულიყო და მოჰკიდებოდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

*** სად. აგტაგლა: 29 ივნისს, ღამის 12 საათზე, ვიღაც ბოროტმოქმედმა მეისრე გოგუაშვილის სახლის ფანჯარას ძველი ლიანდაგის რკინა მიადგა, ზედ ავიდი და რევოლვერი ესროლა. ტყვია ფეხს მოხვდა და არავის-რა დაუშავა-რა.

*** ფოთი. 25 ივნისს ჩვენს მიყვინთულ-მიძინებულს ქალაქსაც ეწვია ახლად შემდგარი ქართული საერო ხორო ალ. კავსაძის ლოტბარობით. ხოროს მოსვლამ ცოტა არ იყოს თვალები ამოგვაფშვნეტინა, თორემ ზოგჯერ ძილისაგან თვალებზედ ობი გვეკიდება, რადგან აქ იშვიათია საზოგადოდ გასართობი. კონცერტმა ბლომათ მიიზიდა საზოგადოება და ყველა დიდად ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ სახლში, მომღერალთა გუნდმა ლამაზად და მწყობრად შეასრულა ყველა სიმღერა, რის გამო „ვაშა“-ს ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ბოლოს რამდენჯერმე გაამეორებინეს „გოგონა“ ლეკურით. აგრეთვე სთხოვეს ახალგაზდა მომღერალს ბ ნ კავსაძეს, რომ მარტოთ რამ ემღერა. ესეც შეუსრულა საზოგადოებას და საუცხოვოდ ურმული ჩაიღიღინა.

*** სად. აჯიქაბული: როდესაც ბათუმიდგან მომავალი სახალხო მატარებელი 22 № სადგურზედ დადგა, აღმოჩნდა, რომ მაჰმადიან მლოცავთა შორის ერთი, სოფელ ასაკის მცხოვრები მოლლა-ასანდკული-მოლლა-მაკსუდ-ოღლი მომკვდარიყო. როგორც ექიმის შემოწმებამ აღმოაჩინა, მიზეზი სიკვდილისა გულის სნეულება ყოფილა. გვამი ამისი სადგურში დატოვებული დასამარხად. რკინის გზის უფროსმა ექიმმა დამარხვის ნება მისცა

*** როგორც ქალაქის გამგეობის ანგარიშიდგანა სჩანს, ქალაქში სულ 563 საბირჟო ფაიტონი ყოფილა, 33 ერთ-ცხენიანი ფაიტონი, 1,143 პოვოსკა და 2,320 ცხენი.

*** 27 ივნისს, საღამოს 10 საათზედ, წყნეთისა და ახალი გოლანდიის ქუჩ. კუთხეში, გრიგორ სოლაგოვის სახლში, ტფილისის მოქალაქემ სანდრო მარგიაშვილმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა დანით გულში მარიამ ასლამაზოვისა, რომელიც იქვე მოკვდა. მიცვალებული მიხეილის სააავადმყოფოს ანატომიურს განყოფილებაში წაიღეს. მარგიაშვილის მოსაძებნად, რომელიც მაშინვე დაიმალა, ზომებია მიღებული.

*** 29 ივნისს, ღამის 10 საათზედ, ავლაბრის მოედანზედ, მოქალაქეს დ. გ. თეთრაძეს ჯიბიდგან ქისა ამოაცალეს, რომელშიაც 100 მან. ფულადა ჰქონია, 100 მან. ვექსილი, 1,000 მან. ვალდებულობის ქაღალდი სასოფლო მეურნეობის კრედიტისა და სხ., მაგრამ თეთრაძემ დროზედ მოასწრო თურმე თვალი და დაიჭირა. ჯიბის ოსტატი ხაშმის მცხოვრები მამუჩაშვილი აღმოჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ცხინვალი.** ცხინვალი ქართლის მეორე დედა ქალაქია გორის შემდეგ. მკითხველს ეგონება, რომ ეს დაბა მომეტებულ ნაწილად ქართველებით არის დასახლებული და, რასაკვირველია, ყველა საქმეში პირველებიც ისინი იქმნებიანო. მაგრამ ეს ასე არ არის! ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველობა ცხინვალში უფრო შემოხიზნულ ხალხს წააგავს, ვიდრე მამა-პაპადგანვე აქ მცხოვრებს. იმათ საზოგადო საქმეში თითქმის არავითარი ხმა და გავლენა არა აქვთ. მართალია, იყო დრო, როდესაც ქართველებს სომეხ-ურიები არ გადასწვდებოდნენ წინ, მაგრამ დღეს-კი სულ სხვაა: უწინდელის სურათის ხოლოდ ანარეკლი-ღაა დარჩენილი! ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც გულის შოვნაში ჩვენებმა იმდენი უნარი ვერ გამოიჩინეს, რამდენიც სომეხ-ურიებმა და ფული-კი ისეთი მძლავრი იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში, რომ უოკლოვე და უვალაფერი იმის წინაშე ქედს იხრის. ქართველობამაც, ვით დამარცხებულმა ბრძოლის ველზედ, მოდრიკა ქედი და სულით-ხორციანად შეუდგა გამარჯვებულთა კლანჭებს და ასე-კი მათი შემცირება უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა: წინად თუ მცხოვრებლების ნახევარს შეადგენდა ქართველობა, დღეს იმის მეოთხედიც აღარ არის.

რასაკვირველია, ასეთი მცირე რიცხვი ქართველებისა უცველთვის დამარცხებული გამოვიდოდა სასოფლო ურიობის მოედნიდგან, სადაც მხოლოდ $^{2}/_{3}$ მცხოვრებლებისა მარჯვებს ხოლმე. ამიტომაც ძალიან საკვირველია, რომ ამ სამის წლის წინად მასახლისად ქართველი კაცი იქმნა არჩეული, სახელდობრ ივანე ცერაძე. ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რაც ხანი ეს კეთილი კაცი განაგებდა ცხინვალს, ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა: გორიდგან მავალი კლდიანი, ოღრო-ჩოღრო ზღუდის გვერდის აღმართი გაფართოვდა და გასწორდა; დიდ ლიახვზედ გაიდო ახალი ხიდი; გაშენდა „როტონდისათვის“ ბაღი და თვით „როტონდაც“ აგებულ იქმნა; სასოფლო სასწავლებელს მეორე სართული დაადგეს სახალხო განყოფილებისათვის; დაარსდა სასოფლო პურის მაღაზია; ზოგიერთი ქუჩები ქვით მოიკირწყლა, ზოგზედაც ხორგი დაეყარა, დაედო შემოხიზნულ მოკაჭრეებს, რომელნიც შეადგენდნენ $^{1}/_{5}$ ნაწილს მცხოვრებლებისას, — სასოფლო გადასახადი, რაიც დღემდის არ არსებობდა, ამოიშალა სასოფლო სიიდგან ათისა და

---

უწოდებენ. საქმიდგანა სჩანს, რომ კობიაშვილს დავაში არავითარი საბუთები ამ ალაგის საკუთრებისა ხელთ არა ჰქონია და თავის ერთს მოხსენებაში ასეთს სურვილს უცხადებს ექსპედიციის წარმომადგენელთ: უკეთუ სიონელები ფიცს მიიღებენ, რომ ეგ სადაო მიწა-რიყე იმათ ეკუთვნით ყრობა მთიული-მოხევე თავისს მწირს და უნაყოფო მთის მიწა-წყალს. ჩვენ გვიკვირს ხოლმე, როდესაც გაზეთებში ვკითხულობთ, ამა-და-ამ სოფელს ქურდები დაეცნენ, ესა-და-ეს გაცარცვეს, აქა-და-აქ ცეცხლი წაუ...დეს და ამა-და-ამ კაცს ამდენი ზა...ლი მიაყენესო. ნუ თუ ეს საქმე ...და ხდებოდეს იქ, სადაც ღვთის ...ლით ქვეყანა მადლიან-ბარაქიანი ...ყოველგვარის მოსავლით? საკ...ლი ის არის, რომ ჩვენ, მთიულ...ევეთ, ქურდობა ტაციაობას ვე...ავინ გვისაყვედურებს. პირ-იქით, ...დ სირცხვილად მიაჩნიათ აქ და ამ...გვარს თანა-მემამულეებს თემი სათე...დ თუ ვერ განაძევებს, პატივსა ...ხდის და რისხვა-წყევლით იხსენიებს ყოველს ჟამს. ამისთანა ნაკლებულებაში მყოფი ხალხი-კი, როგორიც მთის მკვიდრნი არიან, ძნელად წარმოსადგენია. მართალია, აქაცა ჰხდება თითო ოროლა ქურდობა, მაგრამ ძნელად რომ ადგილობრივის მკვიდრისაგან ეს მოხდეს. ამისი მომქმედნიც ჩვენს განაპირას მცხოვრებნი ოსქისტები არიან, რომელნიც რომელი სამე ბოროტის მოხელის წაქეზებით ჰმოქმედებენ.

მართალია, აქ ხალხი ბოროტ-მოქმედებას არა ჰხმარობს საზრდოს მოპოვებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ გარემოებამ იქამდე მიიყვანა ხალხის უკიდურესი მდგომარეობა, რომ ძმაძმას გადაჰკიდებია ერთს ნაჭერ სახნავს მიწაზედ და ედავება, მე მეკუთვნის და ჩემი არისო, ბიძაშვილი ბიძაშვილს თავპირს ამტვრევს ერთ-ორ თივის მოსათიბს მთის ფერდოს მიწის გამო, მე უნდა დავინებო ეს მიწაო. მოსაზღვრე სოფელი მახლობელს სოფელს გადაჰკიდებია ერთის მთის კალთისათვის, რომელიც ათი-თხუთმეტი დესეტინა არც-კი იქნება, და ეუბნება: ჩემს საქონელსაც მოვაძოვებ, მეც ყალანი მერთმევა, მეც ხელმწიფეს ვემსახურები და მეც ღვთის სული მიდგიაო. ასეთი დავა და ცილობა ჩვენში არ ახალია ძველია და მუდმივი. დასაბამი კარგად ვიცით, მხოლოდ დასასრული როდის ექნება ეს-კი ღმერთმა უწყის! ეს დავა-დავიდარაბა მეზობელთა და მოძმეთ შორის მრავალჯერ სისხლით შეიღებება ხოლმე და უმაღლესის სასამართლოს ყურამდეც მიდის, ხშირად იმდენი ფულიც იხარჯება სასამართლოსა და ვექილებზედ, რომ სხვა ადგილას იმ საქმის დავა-წარმოებაში დანახარჯით სამს სადავო მიწის ოდენა მამულს, უფრო ნაყოფიერსა და ხელის-მომცემს, საკუთრებად შეიძენდა კაცი. მაგრამ მთის ხალხი თუმცა კარგადა ჰგრძნობს, ზარალი მოსდის დავიდარაბით, მაგრამ მაინც ორივე მხარე გამარჯვებას სცდილობს და უკანასკნელ ძალღონესა ჰხმარობს, რომ შერცხვენილი და თავსლაფ-დასხმული არ დარჩეს საქვეყნოდ. ამიტომაც ჩვენს ხალხს ძველადგანვე გულში ჩანერგული აქვს და პირზეც ასე აკერია: „კაცი მამულზედ და ცოლზედ კვდებაო.“ ამიტომაც დავის დროს ერთნი იძახიან, — გავწყდებით და არ დაგანებებთო; მეორენი, თუ რამე გვაბადია, სულ დავხარჯავთო, სამართლითაც რომ არას გავხდეთ, თავს დავდებთ და მარტო თქვენ არ გასარგებლებთო. აი ამისთანა გულზედ მოსულის კაცებისგან ყოველთვის ჯიბეებს ივსებენ არზის მწერალი „ადვაკატ — აბლადა“ იკისრებენ იმ ხარჯს, რაცამ დავის დროს დახარჯულა (ჯარიმისა 15 მ. გერბის ქაღალდის უქონლობისა გამო და თანაც ამ საქმისათვის გამოგზავნილთა საგზაო ხარჯი — 38 მ. 50 კაპ.), მე დავაზედ ხელს ავიღებო. ამის გამო ექსპედიციის წარმომადგენელთ უთქვამთ სიონელებისათვის, რომ უკეთუ ფიცსა და აღნიშნულს ხარჯს არ იკისრებთ, ალაგი ჩამოგერთმევათ და კობიაშვილს გადაეცემაო. სიონელებს დიდის სიამოვნებით აღუსრულებიათ ეს არასამართლიანი დავალება კობიაშვილისა და 3 ნოემბერს 1823 წელს*) გათავებულა ეს დავა სიონელების სასარგებლოდ.

ამ დასახელებულს სოფელს გაღმა, თერგს იქით, გაშენებულია ორი სოფელი, რომლებშიაც 70—80 კომლამდე გლეხობა იქნება. ერთს ეწოდება გორისციხე და მეორეს ფხელში. ამათ თუმცა სიონელებთან საერთო და გასაყოფი არც როდის და არა ჟამს არა ჰქონიათ და არცა აქვთ ეხლა, მაგრამ, რადგანაც სიონის მკვიდრნი რიცხვით 50—55 კომლს არ აღემატებიან და ფხელშე, გორისციხე-კი 80-დეც მიაღწევს, ამის მიზეზით სიონელებს ძალად წაედავა ეს ორი სოფელი და იმ ზემოდ აღნიშნულს რიყეს თუმცა არ ისაკუთრებენ, მაგრამ ამბობენ: ჩვენც წილი გვიძევსო და ჩვენც გვასარგებლეთ საძოვრითაო.

სიონელების მამულში გორიციხელებს აქვთ კარგი სათიბი მიწა, რომელსაც იცლოვანას უწოდებენ. წინად ამ სათიბით სიონელებიც გორისციხელებთან ერთად სარგებლობდნენ, მაგრამ გორისციხელებმა იმდენი ძალა გამოიჩინეს, რომ ის საერთო სათიბი სულ თითონ მიითვისეს და სიონელები ცალიერები დასტოვეს. სიონელებმაც თავისი საკუთარი ანუ კობიაშვილისაგან დავით მოგებული საძოვარი-რიყე დარაჯის დაყენებით ისე გაამაგრეს, რომ ფხელშე-გორისციხის მკვიდრთ საქონელი საზღვარს იქით აღარ გადაუშვეს. ეს ორივე გარემოება საკმარისი იყო, რომ ამ სამს სოფელს შუა საშინელი დავა და განხეთქილება ჩამოვარდნილიყო. ფხელშე-გორისციხე განრისხებული იყო იმითი, რომ ჩვენ მეტნი ვართ, ყალანს თანასწორათ ვიხდით, ხელმწიფეს ბეგარაზედ ჩვენ მეტი ნაწილი ვემსახურებით და სიონელები მეტის საძოვრით სარგებლობენ და ჩვენს ნახირს-კი არ უშვებენო. სიონელები ასე უპასუხებდნენ: ჩვენ რა გიყოთ, რომ თქვენ გამრავლდით? ჩვენ ჩვენი მამაპაპის და... ...თა გვაქვს და

*) დავა დაწყებული იყო 1791 წელს.

ოცი წლის წინად გარდაცვალებულნი და, მაშასადამე, მათზე გაწყრილი ფოსტის ფული, რომელსაც დღემდის ცხინვალი ისდიდა, მოაკლდა სოფელს...

ყველა ეს ბ-ნმა ცერამმ, უსასყიდლოდ მოიმოქმედა (ჯამაგირი არ ეძლეოდა) და ამიტომაც ღირსია იგი დიდის მადლობისა და მიბაძვისა.

ცხინვალელი დ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Нов. Обоз."-ში დაბეჭდილია წერილი—სათაურით „ახალი ცოცხი". ამ საუცხოვო სახელს ზემოხსენებული გაზეთი უწოდებს ქალაქის ახალს საბჭოს. (ხომ მოგეხსენებათ, რომ „ახალი ცოცხი კარგადა ჰგვისო" და ამიტომ, სხვა რომ არაფერი გააკეთოს ახალმა საბჭომ, ისიც ძლიერ სასიამოვნო იქმნება, რომ ტფილისის ქუჩები კარგად დაჰგავოს და, თუ შეიძლება, ზაფხულობით მორწყოს კიდეც, თორემ ლამის დაგვარჩოს მტვერმა).

ეს „ახალი ცოცხი" დამტკიცებულ იქმნაო,—ამბობს, გაზეთი,—და თანაც წინასწარმეტყველობს, თუ სენატში გადიტანეს საჩივარი, იქაც დამტკიცებულ იქმნებაო. მაშასადამეო,—განაგრძობს გაზეთი,—ჩვენი „ახალი ცოცხი" უშველად შეუდგება თავისს სამსახურსაო.

ღმერთმა გზა დაულოცოს ამ „ახალს ცოცხს",—ვინაიდგან ეს ცოცხი ძლიერ მოსწონს „Нов. Обоз."-ს. მაგრამ უკაცრავად-კი არ ვახლდეთ, გავკადნიერდებით და ვკითხავთ, მართლა „ახალი ცოცხი"-კი არის ეს „ახალი" საბჭო თუ იგივე ძველია, ახლად ამორჩეული? ახალი არისო,—ჰბრძანებს „Нов. Обоз." ამასვე ამბობს ხოლმე ძველის ტანისამოსის ვაჭარი, როდესაც ძველს ტანსაცმელსა ჰყიდის და სურბ-კარაპეტის მადლსაცა ჰფიცულობს: „სულ ემეა, ალაჯან, სულ ახალია, ორჯელ არ არის ჩაცმული. აი, ოთხ ალაგას გაცვეთილა და ახლად დაგვიკერებია, მაგრამ სულ ახალი კი არის, აი!"

ჩვენი ახალი საბჭოც სწორედ ამ გვარ ახალს ტანსაცმელსა ჰგავს და „Нов. Обоз."-ე—ამ ძველ ტანთსაცმელის გამყიდველს. „ახალი ცოცხი" არისო, გაიძახის და აბა, ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენს ლხენას, რა აქვს ამ ახალს საბჭოს ახალი? 79 ხმოსანთა შორის უწინდელი ხმოსანი 51 გახლავთ და ახლად არჩეული—28. მაშასადამე, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს საბჭო „არ ახალია, ძველია".

„Нов. Обоз."-ე ბრძანებს კიდევ: ქალაქის საბჭოს იმას უგიჟებენ, რომ ხმოსნები სულ სომხები არიანო. ეს დიდი უსამართლობა არისო, ბრძანებს „Нов. Обоз." „ეროვნობას არც ერთს დაწესებულებაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და განსაკუთრებით ქალაქის საქმეებშიო. მართლაც-და ტფილისის საბჭოს მოქმედებიდგან სრულებით არა სჩანს, რომ ეროვნობისთვის ყურადღება მიექციოსო. ამ ეროვნობამ თავი იჩინა, და არც თუ ძლიერ, მხოლოდ არჩევნების დროსა".

თქვენი რა მოგახსენოთ, მკითხველო, და მე-კი ძლიერ მომწონს ჯერ ეს საუცხოვო არც თუ ძლიერ და მერე ეს, გაპირვებულთა მხსნელი სიტყვა მხოლოდ. არც თუ ძლიერაო... მეტი რაღა გნებავდათ? სხვა ერის კაცი ერთიც არ გააპაჭანეს და არც თუ ძლიერაო... თქვე დალოცვილებო-და ერევნის მეიდანზედ ხომ არ გამოგვიწვევდით კრივში? მხოლოდ არჩევან-ს დროს იჩინა თავი ეროვნობამაო. მაშ კიდევ რაში უნდა გამოგეჩინათ თავი? ჰო, უკაცრავად დამავიწყდა, რომ საყასბოს დარაჯი მხოლოდ იმიტომ დაითხოვეთ, რომ იმის „ფიზიონომია" არ მოეწონა ბ-ნს ვართანიანცს და „ტრიხინების" საქმე-კი დავიწყებას მიეცით. აქაც ხომ არჩევნები არ იყო?

„მართალიაო,—ამბობს შემდეგ „Нов. Обозр.",—ახალი საბჭო კარგს ვერაფერს ვერ გააკეთებსო, (ჰმ, მაშ რას მოელოდით?) იმიტომ რომ ამ საბჭოში დაპარაკის მეტი არაფერი იქნებაო... (ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნება, ვინაიდგან „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა") მაგრამ ვისურვოთ, რომ ჩვენი წინასწარმეტყველება სრულებით, არ გამართლდესო".

აქ ერთი ვექილი მომაგონდა, რომელსაც ძლიერ წააგავს „Нов. Обоз."-ე.

„ჩემი კლიენტიო,—სთქვა ამ ვექილმა,—დიდი დამნაშავე არისო, მაგრამ, თუ ის თქვენი ღმერთი გიყვართ, ხათრს ნუ გამიტეხთ და, რაც გახდეს, გახდეს, მოდით, გაამართლეთო!..

დასასრულ „Нов. Обоз." თითონვე ამბობს, რომ, მართალია, ახალ საბჭოში არც ერთი ისეთი დასი არ მოიპოვება, რომელსაც შეეძლოს ხელმძღვანელობა და მეთაურობაო, მაგრამ კრიტიკას და ოპოზიციას მაინც ადგილი ექმნებაო, ხოლო რაც შეეხება შრომისა და შემოქმედებითის ძალასა და მადლს, ამისი-კი რა მოგახსენოთო...

თუ ასეა, ეს ახალი საბჭო—კარგი ახალი ცოცხი ყოფილა, კარგადაც დაჰგვის და გასწმენდავს ჩვენის ქალაქის საასპარეზოს...

ერთი ეს გვიბრძანეთ, ბატონო, თუ ამაზედ მეტი არა გამოვიდოდარა თქვენის ღადადისა, ბრძოლისა და კამათისაგან, მაშ რისთვის იწუხებდით თავს და ან სხვას რისთვის აწუხებდით?

## რუსეთი

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწის ვ. კ. საბლერის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ ამ დღეებში უკვე დაათავა მუშაობა. კომისიას მინდობილი ჰქონდა საზოგადოდ შეემუშავებინა ის წესი და რიგი, რა ნაირად უნდა ასწავლონ სოფლის მეურნეობა საერო განათლების სამინისტრო საერო სკოლებსა, სასულიერო უწყების სკოლებსა და აგრეთვე სამასწავლებლო სემინარიებში. კომისიაში საერო განათლების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო სამინისტროს წარმომადგენელნი იღებდნენ მონაწილეობას. კომისიის მიერ შემუშავებული სწავლის წესი სამეურნეო მინისტრს კარგად შემდგარად უცვნია.

— აგვისტოს ნახევარში სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დეისტ. ტაინი სოვეტნ. ა. ს. ერმოლოვი მთელს იმპერიაში იმოგზაურებს. სხვათა შორის, მინისტრი მდინარე ვოლგის ნაპირებსა, კავკასიის სამკურნალო წყლებსა და ბაქოს მახლობლად მდებარე სახელმწიფო მამულებს დაათვალიერებს.

— მოსკოვის ექიმთა საერთა შორისო XII კრების საორგანიზაციო კომიტეტს ოფიციალურად მოუწვევია, რომ მათმა უმაღლესობამ მედიცინის დოქტორებმა ბავარიის პრინცმა ლუდოვიკო-ფერდინანდმა და ბავარიის ჰერცოგმა კარლოს-ღეოდოსემ ამ კრებაზედ მონაწილეობა მიიღონ. ამ ბოლოს დროს კომიტეტს უცხო სახელმწიფოთა მთავრობათ და უნივერსიტეტებმა სურვილი განუცხადეს, რომ ჩვენს დელეგატებს გამოგვზავნითო. პარიზის სამკურნალო ფაკულტეტი 8 პროფესორსა და 7 პრივატ-დოცენტსა ჰგზავნის; საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო ოთხს დოქტორსა ჰგზავნის და მათ შორის ცნობილს დიუჟარდენ-ბომეს; საფრანგეთის ზღვათა სამინისტრო—ერთს ექიმს. გარდა ამისა, დელეგატებად დანიშნულნი არიან ჩეხიის სამეცნიერო აკადემიისა, ედინბურგის უნივერსიტეტისა, კატანის უნივერსიტეტისა, სტოკჰოლმის სამედიკო-სადოსტაქრო ინსტიტუტისა, გლაზოვის უნივერსიტეტისა, ნიდერლანდიის ზღვათა სამინისტროსი, არგენტინის რესპუბლიკის მმართველობისა, ესპანიის მთავრობისა, მონაკოსი, იაპონიისა და საქსონიის მთავრობათა წარმომადგენელნი.

## უცხოეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის ზავი.** გაზ. „Berlines Tageblatt"-ში ვრცელი კორესპონდენციაა დაბეჭდილი კონსტანტინეპოლიდგან ოსმალეთ-საბერძნეთ შორის ზავის შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, მოლაპარაკება მალე გათავდება, რადგანაც ოსმალეთი თესალიაზედ უარს აცხადებს და მხოლოდ საზღვრების შესწორებასა თხოულობს. ამ რიგად ახლო ხანში ზავი შეკრული იქმნება ორ სახელმწიფოს შორის, თესალია საბერძნეთს გადაეცემა და ოსმალეთმა თავისი ჯარი უნდა გაიწვიოს თესალიიდგან. „ყველა ეს, ამბობს კორესპონდენტი, ქაღალდზედ იქმნება აღნიშნული და ნამდვილად-კი ოსმალეთი არც თავს დაანებებს თესალიას და არც ჯარს გაიწვევს იქიდგანაო. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ოსმალეთის მთავრობა უკვე ჰნიშნავს მოხელეებს თესალიაში, გზებს იკვლევს, ახალი ჯარი გადაჰყავს და მრავალი სხვა. გულითაც რომ მოიწადინოს მთავრობამ ჯარის გამოწვევა, ხალხის შიშით მაინც ვერ იზამს ამასაო. ამ რიგად ოსმალეთს თესალია ფაქტიურად მაინც დარჩება და საბერძნეთი იძულებული იქმნება დაემორჩილოს საქმის ასეთს ვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საბერძნეთმა ხმა ამოიღო და მოინდომა თესალიის ოსმალეთის ჯარისაგან განთავისუფლება, საქმე ისევ აირევა და შეიძლება ამ ორ სახელმწიფოთა შორის ხელახლად შეიარაღებული შეტაკება მოხდესო".

—

**იაპონია.** მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ იაპონიამ ჩინეთთან ომის შემდეგ კუნძული ფორმოზა დაინარჩუნა, რომელიც წინად ჩინეთს ეკუთვნოდა. იაპონელები დიდის გულ-მოდგინეობით შეუდგნენ ხსენებული კუნძულის მართვა-გამგეობას, რომელიც ჯერ-ჯერობით ზარალის მეტს არაფერს აძლევს. ამ ჟამად

---

არც ვის ვედავებით და ნურც ვინ გვედავება! ან რა ჩვენი ბრალია, თქვენ რომ საძოვარი გაკლიათ. ჩვენც სათიბი გვაკლია, წინანდელებრ თქვენს იცლოვანაში გვასარგებლეთ სათიბით და ჩვენც საძოვრებით რიყეში გასარგებლებთო.

რაკი სოფლელები ერთმანერთს ვერ მოეწყვნენ და საქმე-კი თან-და-თან მწვავდებოდა, ფხელშე-გორიციხელებმა 1876 წელს დავა დაიწყეს. თხოვნა თხოვნაზედ იგზავნებოდა ხან სამაზრო სამმართველოში და ხან საგუბერნიო სამმართველოში, რომ სიონელებმა საძოვარზედ ჩვენი საქონელი აღარ გაუშვეს და ამითი დიდად შეგვაწუხეს. შეგვავიწროეს, დაგვეხმარეთ, შემწეობა აღმოგვიჩინეთ და საძოვრით ერთნაირად გვასარგებლეთო. ამ ორს სოფელში მაშინვე დაიწყეს კომლზედ თითო თუმნის მოკრეფა სადაოდ ამორჩეულ კაცთა სახარჯოდ და „მწერალ-ადვაკატების" ყელის გასაპოხად.

მალე ამ დავაზედ დაერთო სხვადა-სხვა საჩივრებიც, რადგან სადაცკი ნასვამი მოდავეები, ქორწილში, დუქანში, სამგზავროდ, თუ ხატობა-სამლოცველოებში, ერთურთს ჰნახავდნენ, უთუოდ საქმე ცემა-ტყეპით დამთავრდებოდა ხოლმე. საჩივრებს მოჰყვა გამოძიებანი, გამოძიებათ კიდევ ფულების კრეფა სოფლებში, და გაიმართა საშინელი ბრძოლა. ამ სამს სოფელში ბევრი ახლო ნათესავებიც სცხოვრობდნენ, მაგალითად: დედიდა-მამიდაშვილი, დისწულ-დედის ძმის შვილი და ნათელ-მირონი და კარგი მეგობრები, მაგრამ აქ მოპირდაპირენი მაინც, ნათესაობის მიუხედავადა და განურჩევლად, ემტერებოდნენ ერთმანეთს. თუ ვისმეს შენიშნავდნენ, რომ ნათესაობის მიზეზით პირმოთნეობსო, მაშინ ვაი იმის დღეს, ზიზღით ხსენებას დაუწყებდა ხალხი. ამიტომაც პირველობას მტრობაში ისინი იჩენდნენ, რომელთაც ნათესავები ბევრი ჰყავდათ მეორე სოფლებში, რადგანაც ეშინოდათ პირმოთნეობა არ დაგვწამონო. მაზრის სამმართველო ყოველთვისა სწერდა მამასახლისს,—ყოველ გვარი ღონე იღონე, რომ მოდავეთა შორის დავის გათავებამდის უბედური შემთხვევა არა მოხდეს-რაო, მაგრამ მამასახლისს განა შეეძლო ამდენს ხალხში სრული მშვიდობიანობა დაემყარებინა?

როდესაც პირველი გამოძიება ხალხის ყრილობით ქვეშეთის ბოქაულმა ბ-ნმა კალოუბნელმა (მაშინ კალუბანსკის ეძახდნენ) მოახდინა, სიონელები დარწმუნდნენ, რომ საქმე „მაგრად წავალისო" და აღარც სიონელებს ეძინათ. ამათაც ფხელშე-გორისციხელების მაგალითს მიჰბაძეს, ამათაც რწმუნებული კაცები ამოირჩიეს, ამათაც მოკრიბეს ხარჯი კომლეულად და სულ მცირე ხანში 500 მანეთს მოუყარეს თავი. ამ დროს ძალიან ადვილდებოდა სოფლებში ხარჯის კრება იმიტომ, რომ რუს-ოსმალოს ბრძოლაც სწორედ იმ წელს დაიწყო და ყველა მოხევის ოჯახში, ვისაც-კი ერთი ცხენი მოეპოვებოდა, თვეში ორჯელ ქალაქში ჩავიდოდა და თვეში 60—80 მანეთს იღებდა. ფული თითქო ყოველ თვეს იკრიბებოდა, კაცები ორივე მოდავეების მხრით ხან ქვეშეთის საბოქაულო სამმართველოში, ხან დუშეთის სამაზრო სამმართველოში და ხან ქალაქის საგუბერნიო სამმართველოში იგზავნებოდა საქმის გასარჩევად, მაგრამ საქმე-კი არა თავდებოდა. ორმა წელმა ასე გასტანა, რომ ორივე მხრის რწმუნებულებს თვეში სამი ღამე არ გაუტარებიათ სახლში, ერთნი თუ ჩუმად წავიდოდნენ, მეორეებიც, გაიგებდნენ თუ არა, ერთი ფაცა-ფუცით დაედევნებოდნენ უკან და სოფლებს ელდა ეცემოდა პირველების წასვლით, უთუოდ ურმებით წამოიღებდნენ იმ სადაო მიწასაო.

ამ სიარულისა და ხარჯის შემდეგ მაზრის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ სოფლის ყრილობამ გადასწყვიტოს ეგ საქმეო. ასეთმა განკარგულებამ ელდა დასცა სიონელებს. რადგანაც მოდავენი და მოპასუხე სიონელნი შეადგენდნენ ერთის სოფლის საზოგადოებას, ამათში საქმე ხმის უმეტესობით უნდა გადაწყვეტილიყო კანონის ძალით და რადგანაც ხმის უმეტესობაც თითქო ორჯელ მეტი ფხელშე-გორისციხისაკენ იყო, ზედაც ისეთი შემთხთხვევა მიეცა გორისციხელებს, რომ მამასახლისიც ამავე უმეტესობის მხრიდგან აირჩიეს, სიონელებმა სრული უარი განაცხადეს, ყრილობაში მონაწილეობას არ მივიღებთო. მამასახლისმა ამითი ისარგებლა, მოუწოდა მთლად თავისს მოდავე მხარეს, შიგა-შიგ ჩაურია ამ ხალხს გარეშე საბატონო გლეხებიც და დაადგინეს სიონელების საზარალო განაჩენი. აქ საკვირველი ის იყო, რომ სად იხარჯებოდა ამ ორის წლის განმავლობაში იმდენი ფული? რაღა თქმა უნდა, საოცარი ისიც იყო, რომ მაზრის სამმართველო ოფიციალურად სწერდა და ამ მოწერილობით საქმის გადაწყვეტას თუ გარჩევას მოდავეთ ავალებდა. არა, რომელი ჰკუათა მყოფელი დაადგენდა ხმის უმეტესობით თავისს მავნებელს განაჩენს? მამასახლისი-კი ასე ეპასუხებოდა სიონელებს: „მე მოწერილობა მაქვს და უნდა აღსრულებაში მოვიყვანო. თქვენ თუ არ ინებებთ ყრილობაში მონაწილეობის მიღებას, მე „ბუნტოვჩიკად" გამოგიყვანთო. „სიონელები ეუბნებოდნენ: თქვენვე მეტი ხართ, თქვენვე მთავრობამ ძალი და სამართალი ხელთ მოგცათ და ჩვენი ყრილობაში დასწრება რაღა იქნებაო. ჩვენ ისევ უმაღლესს მთავრობას მივმართამთო.

გვიკვირს ისიც, რომ მაზრის სამართველომ საფუძვლიანად არ ჩასთვალა ის საბუთი, რომელიც კობიევთან დავის დროს 1823 წლის 3 ნოემბრიდგან ხელთა ჰქონდათ სიონელებს. აღარც დამატებითი ჩივილი იქნა სიონელების სასარგებლოდ განხილული რომელშიაც სიონელები ასახელებდნენ, რომ ყრილობაში ესა და ეს უწესოება ჩაიდინა მამასახლისმაო.

კალმისწვერა

(დასასრული იქმნება)

კუნძულზედ მშვიდობიანობაა, მეამბოხენი მთავრობამ განდევნა იქიდგან და კუნძულის მცხოვრებთა ეკონომიურად და გონებრივად განვითარებას წინ აღარაფერი უდგა. იაპონელები მეტად ყურადღებითა და პატივცემით ეპყრობიან თურმე მკვიდრთ და სხვა სახელმწიფოებსავით არა სცდილობენ მათს დაჩაგვრასა და შევიწროებას. აი, სხვათა შორის, რა უთქვამს იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფს მარკიზ იტოს, ერთს სადილზედ, რომელსაც ფორმოზის მოხელენი და მემამულენი დაესწრნენ. „მთელი ქვეყანა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს ამ კუნძულს და ყველა დაინტერესებულია თუ რა ნაირად შევუდგებით იმის მართვა-გამგეობას. გავბედავ და ვიტყვი, რომ მთელის სახელმწიფოს მომავალი დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ წავიყვანთ მართვა-გამგეობის საქმეს ამ ახალ-შენში. ჩვენ ამ საქმეში სრულებით გამოუცდელნი ვართ და ამიტომ უნდა ვისარგებლოთ სხვათა გამოცდილებით. ამ შემთხვევაში დიდს სამსახურს ევროპა და განსაკუთრებით დიდი ბრიტანია გაგვიწევს და სწორედ იმათგან უნდა შევისწავლოთ ეს საქმე. მაგრამ ყველაფერი ბრმად არ უნდა გადმოვიღოთ, იქ ბევრი ცუდია და ჩვენთვის-კი მხოლოდ კარგია საჭირო. ყოველ შემთხვევაში თქვენ ბევრი სიფრთხილე და გამოცდილება გმართებთ, რადგანაც ეს კუნძული ახლად შემოერთებულია და საჭიროა ხალხის სიყვარული და პატივის-ცემა დავიმსახუროთ. ეცადეთ არ დაჩაგროთ, არასტანჯოთ იქაური მცხოვრებნი; დიდის ყურადღებით და სიფრთხილით მოექეცით იმათს ზნეს ჩვეულებას და საერთოდ ყველა იმას, რაც იმათთვის წმინდათა-წმინდაა. თქვენთვის იაპონელი და იქაური კვიდრი ერთი უნდა იყოს, ორივეს პატივის ცემითა და სიყვარულით უნდა მოეკიდნეთ. ფორმოზელს ისეთივე უფლებები აქვს ჩვენს სახელმწიფოში, როგორც ყველა იაპონელს, ამიტომ ნება არავისა აქვს შეზღუდოს მათი თავისუფლება. მე დარწმუნებული ვარ, მთავრობაც ამავე აზრისაა, რადგანაც იმისი მოქმედება ამტკიცებს ამას“.

ასე ექცევიან „გაუნათლებელი“ იაპონელები თვის ქვეშევრდომ სხვა ტომის ხალხს და განათლებული ევროპა-კი სულ სხვა გზას ადგია, რასაც ირლანდიის, ჩეხიის, მაკედონიის და სხვათა ისტორია ამტკიცებს.

—

**თესალია.** ოსმალეთ-საბერძნეთის ომმა სულ ერთიანად გაანადგურა და მიწასთან გაასწორა თესალია. წინად თესალია მდიდარს, სოფლებითა და ქალაქებით გაშენებულს კუთხეს წარმოადგენდა, ეხლა-კი ნანგრევების მეტი აღარაფერია თურმე; ხალხი შიმშილით იხოცება და უსახლკაროდ აქა-იქ დაძრწის. ამას ზედ ავაზაკთა დასები დაერთო, რომელნიც თავისუფლად დანავარდობენ თესალიაში და თუ ვინმეს დარჩა რამე ართმევენ და ძალად სტაცებენ. ერთის სიტყვით მეტი გაჭირვება და ტანჯვა-ვაება, წარმოუდგენელია. თითქმის ყოველ დღე გაზეთებში ახალსა და ახალს ამბავს ჰბეჭდამენ თესალიის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. აი, მაგალითად, რასა სწერს გაზ. „Voss Zeit“.-ის კორესპონდენტი, რომელსაც მთელი თესალია მოუვლია: „დიდის სიფრთხილით გამოვიარე თესალია და დღეს, 2 ივნისს. ათინაში მოვედი. ამ ჟამად თესალიაში მგზავრობა ძალიან საშიშია რადგანაც მთელი ქვეყანა ავაზაკებითაა მოდებული. თესალია აოხრებულ-განადგურებულია და ხალხი უსახლკაროდ, ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი. ფარსალა ავაზაკებმა გასძარცვეს და რაც იმათ გადარჩათ, ოსმალებმა წაიღეს და თვით ქალაქი მიანგრ მოანგრიეს. აღმოსავლეთით ფარსალიდგან რამდენიმე სოფელი ცეცხლისაგან არის განადგურებული ფარსალის დასავლეთით მდებარე ქალაქებში და სოფლებში არც ერთი ცოცხალი სული არ მოიპოვება, ხალხმა მიანება თავის აოხრებულ სახლკარს და უგზო-უკვლოდ გაიფანტა. ოსმალების ჯარის-კაცებს აღარაფერი გადარჩათ გაუძარცვავი და დაუნგრეველი. მე თვითონ ვნახე რამდენიმე ჯარის-კაცი, რომელნიც მიათრევდნენ ქალაქიდგან სხვა-და-სხვა ავეჯს. ფარსალაში ყველა საწყობი დაბეჭდილია ოსმალებისაგან და ფარსალის ცოტად თუ ბევრად შეძლებულ მოქალაქეებს სულ უბრალო მიზეზებისა გამო ჯარიმებს ახდევინებენ. ყველა ამას გარდა მთელ თესალიაში დაწრწიან ვიღაცეები და, ოსმალების დახმარებით, ხალხს ძალად ხელს აწერინებენ ოსმალეთთან შეერთების ქაღალდზედ. განსაკუთრებით ჩემი ყურადღება ერთმა ავსტრიელმა მიიპყრო, რომელიც ყოველს საშუალებასა ჰხმარობს, რომ თესალია საბერძნეთს დააშოროს.“

## ნაკვესი

—

ოსტ-ინდიის შეძლებული კაცი შესჩიოდა ნაცნობებს, რომ სამი ქალიშვილი მყავს, თითოეულს ქრთამად ათი-ათასს მანეთს ვაძლევ და მაინც მუშტარი ვერ მიშოვნია.

— ერთს წყვილს მე წავიყვანო! სთქვა იქვე დამსწრე ირლანდიელმა.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვინ იცის, რისთვის არ გამოიყენონ მეცნიერებმა ელექტრონის ძალა! ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ ძალას თევზის დასაჭერად იხმარდნენ. ინგლისელ მეთევზეების ნავში ერთს მეცნიერს გაუმართავს ელექტრონის ბატარეა და ისე მოუწყვია, რომ ელექტრონის ლამპარი თავის თავად ანთებულიყო წყალში 8 ადლის სიღრმეზედ. ერთს წუთს არ გაუვლია იმის შემდეგ, რაც ლამპარი აინთო და ნავთან თურმე იმდენი თევზი მოგროვდა, რომ ბადეში აუარებელი თევზი მოჰყვა.

* * *

ერთს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობა შესახებ იმისა, რამდენი ჯამაგირი აქვთ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მმართველთ. ყველაზედ დიდი ჯამაგირი ჰქონია ავსტრიის იმპერატორს—ოც-და-ხუთი მილიონი ფრანკი. ყველაზედ ცოტა შვეიცარიის პრეზიდენტს—თორმეტი ათასი ფრანკი. გერმანიისა, იაპონიისა და ოსმალეთის ხელმწიფეებს თითოს ოცი მილიონი ეძლევა წელიწადში ხაზინისაგან. სპარსეთის შაჰს—თორმეტი მილიონი, ინგლისის დედოფალს—10 მილიონი, იტალიის მეფეს—ორნახევარი მილიონი, საბერძნეთის მეფეს—ერთი მილიონი სამასი ათასი, პორტუგალიის მეფეს—ამდენივე, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს—ექვსასი ათასი და ამერიკის შტატების პრეზიდენტს—ორას ორმოცდა-ათი-ათასი ფრანკი. გარდა ამისა, ზოგიერთ მეფეებს დიდ-ძალი საკუთარი მამულები და შემოსავალი აქვთ. გერმანიის იმპერატორს, სულ ცოტა, წელიწადში ოცი მილიონი შემოსავალი ექმნება. ამდენივე—ოსმალეთის სულთანს. სპარსეთის შაჰი თურმე ისე მდიდარი არის, რომ იმის სარჩო-საბადებელი ჯერ ვერავის დაუთვლია.

## ახალი წიგნი

—

მოგვივიდა მიხეილ კიკნაძის მიერ გამოცემული ზ. ჭ—ს დაწერილი „საქართველოს მეფე და ორი გლახა, ანუ ბაგრატოვანთ გვირგვინი“. ეს წიგნაკი მესამედ იბეჭდება. შეიცავს სულ 31 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ივნისი.

**პეტერბურგი.** 28 ივნისს სიამის მეფე მემკვიდრე პრინცით მაგი ვაჯირავუდათურთ, პრინცებით სვასტისა, მაგისრისა და შირათი და ამალით დაბრუნდა მოსკოვიდგან პეტერგოფს. რკინის გზის სადგურზედ მეფეს შეხვდა ხელმწიფე იმპერატორი, რომელთანაც იყვნენ დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და თავადი გიორგი მაქსიმილიანეს ძე რომანოვსკი. სიამის მეფემ წარუდგინა თავისი მემკვიდრე და პრინცი მაგისრი. საგვარეულო საუზმეს შემდეგ, რომელიც გამართული იყო აგარაკს ალექსანდრიაში და რომელსაც დაესწრნენ მეფე ოთხის პრინცითურთ, ხელმწიფემ გააცილა მეფე პეტერგოფის დიდ სასახლემდე. საღამოზედ ალექსანდრიაში საგვარეულო სადილი იყო გამართული.

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწონებული წესდება ცისფერის ჯვარის საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს უზრუნველ ჰყოს სიცოცხლის დაზღვევის შემწეობით ცეცხლის მქრობელ რაზმის დაზარალებულნი მუშაკნი.

**კონსტანტინეპოლი.** გადაწყვეტილმა კილომ უკანასკნელის ნოტისამ და აგრეთვე დიდთა, სახელმწიფოთა მიერ გარკვევით გამოთქმულმა აზრმა, როგორც სჩანს, დიდად იმოქმედა ილდიზ-კიოსკში. აქ მოლოდინი აქვთ, რომ სხდომანი ჩქარა დაიწყება ხელ-ახლად და საქმე უფრო ჩქარა იწარმოვებს, თუმცა შესაძლებელია შემდეგშიაც გართულ გაძნელდეს საქმე, რადგან ბევრნი მოხელენი და ზოგიერთი მინისტრნი სცდილობენ, რომ საზღვარი პენეასთან იყოს დადებული. რამდენიმე დღეა ხმა დადის, რომ ოსმალებს განზრახვა აქვთ დემონსტრაციები მოახდინონ და თავს დაესხნენ საელჩოებსაო. ზოგიერთმა საელჩოებმა ყოველივე ღონე სიფრთხილისა მოიხმარეს. ეს ხმა, როგორცა სჩანს, გავრცელებულია ოსმალეთის მხრივ და რაოდენადმე შედეგია ხელოვნებით გამოწვეულ მღელვარებისა. უკანასკნელს ორს დღეს დაპატიმრებულ იქმნა მრავალი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე და შეიხები.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს ელისეის სასახლეში პანოტომ აუწყა შინაარსი სულთანის დეპეშისა, ფორთანა და ყველა სახელმწიფოსთან მიწერილისა იმ აზრით, რომ პენეასთან საზღვარის დადება საერთოდ მოწონებულ იქმნას. ფორის საპასუხო დეპეშის შინაარსი მინისტრთა საბჭომ განიხილა.

კონსტანტინეპოლიდგან აქ სადიპლომატიო გზით მიღებული დეპეშა ამჟღავნებს, რომ უკანასკნელს ნოტას რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისას, დიდ სახელმწიფოებთან წარგზავნილს, დიდად უმოქმედნია.

დიდთა სახელმწიფოთა ელჩებმა, კონსტანტინეპოლს მყოფთ, რომელნიც თავისს მთავრობათაგან მიღებულ დარიგების თანახმად ჰმოქმედებენ, გუშინ პორტას ერთობილი გარდაწყვეტილი ნოტა წარუდგინეს, რომლითაც სთხოვენ, რომ ზავი რაც შეიძლება ჩქარა იქმნას დადებული.

**პარიჟი.** პანამის კომისიის პრეზიდენტმა ვალლემ კომისიაში წაიკითხა წერილ კორნელი გერცისა, რომელიც აცხადებს, რომ მზადა ვარ ვთქვა ყველაფერი, თუ კომისია დელეგატებს გამომიგზავნისო.

30 ივნისი.

**კრონშტატი.** ხელმწიფე იმპერატორი, სიამის მეფე პრინცებითურთ გემ „ალექსანდრია“-თი პატარა ნავთსადგურში მობრძანდა. აქედგან მათი უდიდებულესობა ნავით გემ „შტანდარზე“-დ გადაბრძანდა, სადაც ჩაი მიირთვეს. გემის დათვალიერების შემდეგ მათი უდიდებულესობა გემ „პოლიარნის ვარსკლავზე“-დ გადაბრძანდა. საღამოს $6^1/_2$ საათზე ხელმწიფე დიდი მთავრებითურთ გამოემშვიდობა სიამის მეფეს და პრინცებს და გემ „ალექსანდრია“-თი წაბრძანდა, ხოლო სიამის მეფე გემ „პოლიარნის ვარსკვლავი“-თ საღამოსს კრონშტადიდგან სტოკჰოლმში წავიდა.

**ოდდე.** როდესაც გერმანიის იმპერატორი, წირვის შემდეგ, პალუბაზე სეირნობდა, ზევიდგან ხომალდის მოსართავი იარაღი ჩამოვარდა და ცოტათი დააშავა. თოკი ისე ძალიან მოხვდა იმპერატორს მარცხენა თვალში, რომ სისხლმა დაიწყო დენა. ჭრილობა მაშინვე შეუხვიეს და ეხლა აღარა სტკივა.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აუწყებს უძრავ მამულების პატრონებს, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1897 წლის 24 მარტს დაფასების ხარჯს მოუმატოს კიდევ $^1/_8$ პროცენტი გარდა იმ გარდასახადისა, რომელსაც ეხლა ახდევინებს, ე. ი. გარდა $^3/_4$ $^0/_0$-სა. ეს მომატებული გარდასახადი შეტანილ უნდა იქმნას ქალაქის გამგეობაში ამ წლის ივლისის დამლევამდე. შემდეგ-კი გარდასახადს ზედ დაერთვის ჩვეულებრივი ჯარიმა.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ზემოხსენებულ გარდასახადს მხოლოდ ამა 1897 წელს გამოართმევს მემამულეთ და ეს გარდასახადი არ აღემატება დაფასების ნახევარ წლის გარდასახადის მესამედს.
(3—6—1)

## Открыта полугодовая подписка

**(ВТОРАЯ ПОЛОВИНА 1897 Г.)**

*на ежедневную политическо-литературную и общественную газету*

VIII Годъ изданія **„Русскій листокъ“** VIII Годъ изданія

выходящую **БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ.**

**за шесть мѣсяцевъ 3 рбу. 50 коп.**
**за три мѣсяца 2 руб.**

„Русскій Листокъ“ издается, **не смотря на свою крайне дешевую** подписную цѣну, въ форматѣ **самыхъ большихъ и дорогихъ** столичныхъ газетъ. Программа изданія настолько же обширна, какъ и во всѣхъ большихъ газетахъ, и „Русскій Листокъ“, слѣдя самымъ тщательнымъ образомъ за текущею политическою и общественною жизнью, даетъ отвѣты на всѣ вопросы современнаго дня. Ежедневно въ фельетонахъ газеты печатаются бытовые, историческіе и другіе романы, повѣсти, разсказы, стихи, а также даются новости иностранной литературы.

Съ половины іюня начинаются новые романы, начало которыхъ будетъ выслано всѣмъ новымъ полугодовымъ подписчикамъ.

„Русскій Листокъ“ издается по слѣдующей строговыполняемой программѣ:

1) Правительственныя распоряженія и придворныя извѣстія. 2) Передовыя (руководящія) статьи по внутреннимъ вопросамъ и внѣшей политикѣ. 3) Телеграммы собственныхъ корреспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства“. 4) Хроника: московская, петербургская и провинціальная. 5) Корреспонденціи изъ всѣхъ городовъ Россіи и Европы. 6) Дневникъ печати. 7) Извѣстія изъ иностранныхъ газетъ. 8) Судебная хроника. 9) Театръ, музыка и живопись. 10) Критика и библіографія. 11) Биржевая хроника. 12) Фельетоны: литературные, научные и общественной жизни. 13) Спортъ. 14) Мелкія замѣтки, разныя извѣстія и смѣсь. 15) Портреты, рисунки, планы и чертежи.

Адресъ для писемъ: *Москва, уг. Срѣтенки и Рыбникова переулка.*
(3—უ—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Юнія 1897 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.